პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ.ა.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 1 მაისი, 1947 წ. № 89 (7873). ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს პირველ მაისს — ყველა ქვეყნის მშრომელთა საბრძოლო ძაღების დათვაღიერების დღეს!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი
იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ბრძანება

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა № 21

1947 წლის 1 მაისი — ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდებებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი დღესასწაულობენ პირველი მაისის დღეს — მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს.

საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი პირველ მაისს ეგებებიან სახმრძლო და პოლიტიკური სწავლების პირობებში — წარმატებით ითვისებენ დიდი სამამულო ომის გამოცდილებას და ეუფლებიან სტალინურ სამხედრო მეცნიერებას.

საბჭოთა ხალხი პირველ მაისს დღესასწაულობს დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები თავდადებულად იბრძვიან ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, წარმოების მოწინავე მეთოდებისათვის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ტემპების გაძლიერებისათვის.

ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილებით შეიარაღებულმა საბჭოთა გლეხობამ უმაგალითო ენთუზიაზმით გაიჩაღა ბრძოლა უხვი მოსავლის მისაღებად; მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის საუხვის შესაქმნელად, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღსადგენად და შემდგომ განსავითარებლად.

მთელი ჩვენი ხალხი, კომუნისტური პარტიის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, შეუპოვრად სძლევს ომისშემდგომ სიძნელეებს და ზედიზედ აღწევს გამარჯვებას მშვიდობიანი შრომის ფრონტზე.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, მის აქტიურ და თანმიმდევრულ ბრძოლას მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცებისათვის იწონებენ და მხარს უჭერენ მსოფლიოს პროგრესული ძალები.

ჩვენი შეიარაღებული ძალები მოვალენი არიან უზრუნველჰყონ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესები. იმისთვის, რომ წარმატებით შეასრულონ ეს ამოცანა, შეიარაღებული ძალები მუდამ სახმრძლო მზადყოფნაში უნდა იყვნენ.

ჯარისკაცები და მატროსები, სერჟანტები და ზემდებები მოვალენი არიან კეთილსინდისიერად შეისწავლონ სამხედრო საქმე, რათა კვლავაც უნარიანი მეომრები იყვნენ.

გენერლებმა, ადმირალებმა და ოფიცრებმა უნდა სრულყოფ თავიანთი სამხედრო ცოდნა და კიდევ უფრო მეტად და უკეთ იმუშაონ ხელქვეითებთან, ასწავლონ მათ და აღზარდონ მხედრული მოვალეობის უნაკლოდ შესრულების სულისკვეთებით.

უახლოეს დღეებში იწყება ჯარების სახმრძლო მომზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპი—საზაფხულო სწავლების პერიოდი. ამ პერიოდში არმიამ, ავიაციამ და ფლოტმა ახალ-ახალ წარმატებას უნდა მიაღწიონ სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში და წარჩინებულად გადასწყვეტან მათ წინაშე დასახული ამოცანები.

დიდი სამამული ომის წლებში საბჭოთა მეომრებმა გვიჩვენეს გმირობა, სახმრძლო ოსტატობა და სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის ნიმუშები. ახლა, მშვიდობიან დროს, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, ისევე როგორც ომიანობის წლებში, უმჯობესად უნდა იცავდეს საბჭოთა მეომრის სახელსა და ღირსებას, იყოს ორგანიზებულობისა და დისციპლინის ნიმუში, მთელ თავის ცოდნასა და ძალებს ახმარდეს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობას.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდებებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

არმიისა და ფლოტის რიგებიდან დემობილიზებულო მეომრებო!

მოგესალმებით და გილოცავთ პირველი მაისის დღეს!

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად — **ვბრძანებ:**

დღეს, 1 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ბახმაროსკში, ვლადივოსტოკში, პორტ-არტურსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში — მიეცემოს ოქვს სალუტი ოცი სარტყლიანი ზალვით.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი არმიის გენერალი
ნ. ბულგანინი

ლენინ-სჯალინის დროშით, წინ ახალი გამარჯვებებისაკენ!

ჩვენი უძლეველი სამშობლოს ხალხები მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად წელს მშვიდობიან ვითარებაში მეორედ აღნიშნავენ საერთაშორისო სოლიდარობისა და მშრომელთა სახმრძლო ძალების საყოველთაო დათვალიერების დღეს—1 მაისს.

საბჭოთა სამშობლომ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური მხედართმთავრის დიდი სტალინის წინამძღოლობით ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ისტორიული მისია ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში. გმირმა საბჭოთა არმიამ სასახელოდ დაიცვა ჩვენი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მან თავისუფლება მოუტანა გერმანელი ფაშისტი ურდოების მიერ დაპყრობილ ევროპის ქვეყნებს, გათავისუფლა იაპონელი იმპერიალისტების ჩაგვრისაგან აღმოსავლეთის ერები.

საბჭოთა კავშირი ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და უშიშრობის სიმედიდ დასაყრდენია. ომისშემდგომ პერიოდში, საერთაშორისო თათბირებსა და კონფერენციებზე საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები თანმიმდევრულად იცავენ დემოკრატიულ თავისუფლებათა და საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ნიუ-იორკის სესიაზე ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა წამოაყენა შეიარაღების საყოველთაო შემცირების, ატომური ბომბებისა და მასობრივი განადგურების სხვა იარაღების წარმოების აკრძალვის საკითხი. პარიზის საზაო კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის დაუღალავი ენერგიით მოხერხდა დემოკრატიულ საზაოე ხელშეკრულებათა დადება გერმანიის ყოფილ მოკავშირე ქვეყნებთან. საგარეო საქმეთა მინისტრების ახლახან დამთავრებულ მოსკოვის სესიაზე საბჭოთა დელეგაცია დაუღალავად იცავდა გერმანიის განიარაღების, მისი დემილიტარიზაციისა და ნამდვილად დემოკრატიული გერმანიის შექმნის იდეას.

მშვიდობიანობის ასეთი თანმიმდევრული პოლიტიკის გამო საბჭოთა კავშირისადმი დღეს მოპყრობილია მთელი პროგრესული კაცობრიობის ყურადღება. მთელ მსოფლიოში ხანგრძლივი მშვიდობიანობის მომხრენი საბჭოთა კავშირში ხედავენ სიმედიდ დასაყრდენს რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ.

მაგრამ არც ომის გამჩაღებლები არიან გულზე ხელდაკრეფილნი. ჩერჩილები ინგლისში, ეიზენჰაუერები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დე გოლები საფრანგეთში, ფაშისტთა ნაბოლარები და მათი ხელშემწყობნი დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებში ინტრიგების ქსელს ბმავენ ახალი ომის მოსამზადებლად, მშრომელი კაცობრიობის ახალ სისხლისღვრაში ჩასათრევად.

ამიტომ მოუწოდებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყველა ქვეყნის მშრომელთ ამხილონ იმპერიალისტთა ბეგრესიული გეგმები, ნიღაბი ჩამოჰგლიჯონ ახალი ომის გამჩაღებლებს, მტკიცედ იდგნენ მშვიდობის საქმის სადეშაროზე.

ომისშემდგომი ხუთწლედის პირველ წელს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს მშვიდობიანი შენებლობის ფრონტზე. მაგრამ კიდევ უფრო დიდი ამოცანებია დასახული მათ წინაშე ხუთწლედის მეორე წელს. მძიმე მრეწველობის სწრაფი აღმავლობა, ქვანახშირისა და ნავთის ამოღების, ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდება, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვების ზრდა, ფართო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრად გაფართოება, ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება—აი ის ამოცანები, რომლებიც მიმდინარე წელს დაანახ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის წინაშე. ცალკე უნდა აღინიშნოს გრანდიოზული შენებლობის პროგრამა, რომელიც მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინაშეა დასახული. კაპიტალურ შენებლობას წელს 50 მილიარდი მანეთი მოხმარდება. მარტო ამ თანხის დასახელება საკმარისია იმისათვის, თუ რამდენი ფაბრიკა-ქარხანა, შახტი და მაღარო, ელექტროსადგური და სხვა საწარმო უნდა შეემატოს ჩვენს სოციალისტურ სახალხო მეურნეობას.

ამიტომ მოგვიწოდებს ლენინ-სტალინის პარტიის ცენტრალური კომიტეტი—უფრო გაბედულად ებრძოლოთ ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის მოლიანად და გადაჭრებითი შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის შემდგომი ღომაღლობისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა დასახა. 1947-1949 წლებში ჩვენ არა მარტო უნდა აღვადგინოთ მარცვლეულის, სხვა კულტურების მოსავლისა და მეცხოველეობის ომამდელი დონე, არამედ კიდევ გადავაჭარბოთ მას, მივაღწიოთ პროდუქტების საუხვეს მოსახლეობისათვის, ნედლეულის მრეწველობისათვის, შეექმნათ სურსათისა და ნედლეულის საჭირო სახელმწიფო მარაგი. ამ პროგრამის განხორციელებას მოელის სამშობლო ჩვენი კოლმეურნეებისაგან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისაგან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისაგან. მიმდინარე წელი ამ პროგრამის განხორციელების დასაწყისია.

კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე, სოფლად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლაზე ბევრად არის დამოკიდებული პლენუმის მიერ დასახული სამრძლო პროგრამის განხორციელება.

ამიტომ მოგვიწოდებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი—გავხადოთ 1947 წელი სოფლის მეურნეობის დარგში ახალი ხუთწლედის შესრულებისათვის გაჩაღებული შეტევის დასაწყისად.

ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის გრანდიოზული გეგმის შესრულების საქმეში საყართველოს ს ს რესპუბლიკის მშრომელებს თავიანთი თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით გაანაღდა ხუთწლედის მეორე წლის პირველი კვარტლის საწარმოო დავალებანი. გასულ წელთან შედარებით თვალსაჩინოდ გაიზარდა ქვანახშირისა და მარგანეცის მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, დაზგების, სამენი მასალების წარმოება, საფეიქრო, მსუბუქი, საგამოვნო და ყვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვება.

ჩვენი რესპუბლიკის ახალშენებლობათა—ჭიათურის საბეტომბილო ქარხნის, ხრამის, სოხუმისა და ჩითახევის ჰიდროელსადგურების, ორთქლმავალსარემონტო და პლატმასის ნაკეთობათა ქარხნების და მრავალი სხვა ახალი შენებლობის კოლექტივები წარმატებით სძლევენ მათ წინაშე მდგომ სიძნელეებს და ანაღდებენ სამშენებლო პროგრამებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭიათურის საბეტომბილო ქარხნის, ხრამისა და ჩითახევის ჰიდროელსადგურების შენებელთა წარმატებები. მათ ვადამდე გაანაღდეს შენებლობის პირველი კვარტალის გეგმები.

მშრომელთა საერთაშორისო დღის—1 მაისის აღსანიშნავად ფაბრიკა-ქარხნებსა და ახალშენებლობათა, შახტებისა და მაღაროების ათასობით სტახანოველი სადღესასწაულო ვახტზე იდგა და ყოველდღიურ დავალებას 200-350 და კიდევ უფრო მეტი პროცენტით ანაღდებდა. მრავალმა მოწინავე საწარმომ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა აპრილის დავალებანი. ნაყოფიერად მუშაობს ჩვენი რკინიგზაც, რომელმაც გადაჭარბებით გაანაღდა ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის პირველი კვარტალის გეგმები.

ამ წარმატების დიდად შეუწყო ხელი ჩვენს საწარმოებში ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ლენინგრადელთა მოწოდებას დიდი ოქტომბრის ოცდამეათე წლისთვის ღირსეული შეხვედრისათვის გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკის თვითეული საწარმოს, ტრანსპორტისა და ახალი შენებლობის კოლექტივი, ისინი ენერგიულად იბრძვიან საწარმოო გეგმების 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად. წელს დიდი საწარმოო აღმაღლობით მუშაობენ ჭიათურელი მაღაროელები, თბილისელი დაზგათმშენებლები, მანქანათმშენებლები, ფეიქრები და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშები. უკანასკნელ დღეებში საკრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ტყიბულელმა და ტყვარჩელელმა მუშახტებმა.

ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებით აღფრთოვანებულნი, ძალაში და ენერგიას არ იშურებენ მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის. ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილ წერილში ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები პირობას აძლევენ მიმდინარე წელს ჩაის, ციტრუსების, მარცვლეულის, ბაჭრის ჭარხლის, ყურძნისა და ხილის უხვი მოსავლის მიღებას.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მეუღლენ დიდი სტალინისათვის მიეცემული პირობის განაღდებას. საგანგებო სასოფლო-სამეურნეო სემეინარი რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს.

თვალსაჩინო მიღწევებით შეხვდნენ 1 მაისს კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურისა და სამედიცინო დარგის მუშაკები.

1946 წლის 1 მაისის ბრძანებაში ამხანაგმა სტალინმა რწმენა გამოსთქვა, რომ „საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, არ დაიშრებენ ძალღონეა და შრომის ინსპირებით, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედი".

დღეს, 1 მაისს, საქართველოს ს ს რესპუბლიკის მშრომელი საბჭოთა კავშირის მომავ ხალხებთან ერთად დემონსტრაციებზე გამოვლენ ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის ირგვლივ მჭიდროდ დარაზმულნი. ისინი კიდევ ერთხელ დაუდასტურებენ მთელ მსოფლიოს თავიანთ მზადყოფნას უფრო ენერგიულად იბრძოლონ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს—1 მაისს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიდ პარტიას!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს დიდ სტალინს!

ლენინ-სტალინის პარტიის დროშით, წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის საპჭოჭრო დელეგაცია

29 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის საგაჭრო დელეგაცია ვაჭრობისა და კოოპერაციის მინისტრის ბ-ნ რონაი შანდორის მეთაურობით.

ვნუკოვის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ა. თ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრი პ. ნ. კუმკინი, სსრ კავშირის საგაჭრო წარმომადგენელი უნგრეთში კ. ს. სობოლევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ა. პ. ეფსაროვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო ნაწილის უფროსი ვ. გ. კირილოვი და სხვები.

დელეგაციას ადრეთვე შეხვდნენ უნგრეთის საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი ი. ნ. ხორვატი და უნგრეთის მისიის წევრები. (საკდესა).

მოსკოვს ჩამოვიდა ინრრას გენერალური დირექტორი ბ-ნი ლ. უ. რუჭლი

29 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა ინრრას გენერალური დირექტორი ბ-ნი ლილუე უ. რუჭლი. მას თან ახლავან ინრრას გენერალური დირექტორის პირადი წარმომადგენელი ეეროპაში ბ-ნი გ. ჰეილი, ბ-ნი ს. მორელი, ინრრას მისიის მეთაური ბელორუსიის ს რესპუბლიკაში ბ-ნი უოლერი და ქ-ნი ო. ოუენი.

ვნუკოვის აეროდრომზე ბ-ნ რუჭლს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. ა. მესჩერკოვი, ინრრას საბჭოს წევრი სსრ კავშირიდან ნ. ი. ფედნოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სათქმო ნაწილის უფროსის მოადგილე ნ. ი. კუზმინსკი და სხვები.

ჩამოსულთ ადრეთვე შეხვდნენ ამერიკისა და ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოების წევრები.

30 აპრილს დილით ბ-ნი რუჭსი და მისი თანმხლებები პირნი მოსკოვიდან გაფრინდნენ. (საკდესი).

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVI პლენუმის მონაწილეთაგან

მოსკოვი, კრემლი.

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVI პლენუმი, გამოხატავს რა პროფკავშირულ კავშირებში გაერთიანებულ ჩვენი ქვეყნის მუშა-მოსამსახურეთა მრავალძალოვნობით მასების ფიქრებსა და გრძნობებს, მხურვალე სიყვარულს, უსაზღვრო ერთგულებას, მეზობლურ ბოლშევიკური სალამს სიტყვებით მოგმართავს თქვენ, ჩვენო ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო.

მთელი ჩვენი ხალხი თქვენში ხელმძღვანელობით დაბადეულ ბრძოლას ეწევა ომისშემდგომი სოციალისტური რეკონსტრუქციის XXX წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილებით „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ ოცდაათ საბჭოთა ხალხის ბრძოლის ახალი ეტაპი სოფლის მეურნეობის აღმავლობის მისაღწევად, მოსახლეობისათვის სურსათისა და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შესაქმნელად, სურსათისა და ნედლეულის რესურსების — მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისა და ჩვენი ქვეყნის ძლიერების გამძლეობის საფუძველს — დააკვირვებლად.

სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ჩვენი პროფკავშირების ლენინ-სტალინის პარტიის მტკიცე დასაყრდენი იყო. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მათ უდიდესი როლი შეასრულეს დიდი სამამულო ომის წლებში. განსაკუთრებით გაიზარდა პროფკავშირების მნიშვნელობა ომისშემდგომ პერიოდში. ასრულებენ რა, ამხანაგო სტალინ, თქვენს ისტორიულ მითითებებს, პროფესიული კავშირები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვიან მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ახალი აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

კოლექტიური ხელშეკრულებების დადება, რაც პროფკავშირებმა დაიწყეს თქვენი ინიციატივით და რამაც ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელთა მხურვალე მოწონება ჰპოვა, საბჭოთა ხალხისათვის ბოლშევიკური პარტიის მამობრივი ზრუნვის ახალი გამოვლინებაა.

ჩვენი ქვეყნის საწარმოებში გაჩაღებული კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება მოასწავებს პროფესიული კავშირების შესულას ახალ პერიოდში, როცა უდარესად იზრდება მათი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი როლი და პასუხისმგებლობა სახალხო სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება წარმოადგენს პროფესიული კავშირების მუშაობის, მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებთან მათი კავშირის, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე დგომა ამოცანათა წარმატებით შესრულებისაკენ მიმართული საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმის გაძლიერის უნარის სერიოზულ შემოწმებას.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა განხილვამ გამოიწვია მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის ძლევამოსილი ზრდა. იგი გახდა უმრავლესობა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძლევამოსილი საშუალება, იგი ეხმარება საწარმოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების პოლშევიკური კრიტიკის გაძლიერებას და მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკური შეგნების შემდგომ ამაღლებას. მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს შემოაქვთ ათასობით ძვირფასი წინადადება, რომელნიც მიმართულია შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისაკენ.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში პროფესიულ კავშირთა გაზრდილი ამოცანები მოითხოვენ პროფკავშირული ორგანოებისაგან ბევრი თავისი მუშაობის საფუძვლიან გაუმჯობესებას და პროფკავშირული დემოკრატიის შემდგომ გაფართოებას.

პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პროფკავშირული ორგანოების ანგარიშები და არჩევნები ჩატარდეს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, რომ ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტური წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის საუკეთესო ადამიანები, რომელთა უნარი შესწევთ მთელი პროფკავშირული მუშაობა აიყვანონ უფრო მაღალ დონეზე და უფრო მეტი ძალით გააჩაღონ ბრძოლა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დიადი ამოცანების შესასრულებლად.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმმა განიხილა მრეწველობის, ტრანსპორტისა და შენებლობის საწარმოებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების და პროფკავშირული ორგანოების ანგარიშებისა და არჩევნების ჩატარების საკითხები და დასახა ღონისძიებანი კოლექტიური ხელშეკრულებათა დადების კამპანიის წარმატებით დამთავრებისა და პროფკავშირული დემოკრატიის შემდგომი გაძლიერებისათვის.

პლენუმის გადაწყვა, ოსებ ბესარიონის-ძეც, რომ საბჭოთა პროფკავშირები კიდევ უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას საბრძნეწიფო გეგმების ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

პროფკავშირები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ახალი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებით ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავს.

გახსოვრებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მრავალ წელს სიცოცხლისა და ჯანმრთელობას საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიდ პარტიას, რომელსაც საბჭოთა ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს დიდ და ბრძენ ბელადს ჩვენს შობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

მიღებულია პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XVI პლენუმზე

ი. ბ. სტალინი — მაისობათა ორგანიზატორი საქართველოში

1900-1901 წლები საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში გარდატეხის პერიოდად წარმოადგენენ. მუშათა მზარდი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ამ პერიოდში იქცევა აქაო პოლიტიკურ ბრძოლად, რომელიც გამოხმაურებას პოულობს მთელ რუსეთში. საქართველოს მუშათა კლასის ამ დიდ ბრძოლაში უდიდესი როლი ითამაშა ლენინურ-სტალინური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მისი შემქმნელის და სულისჩამდგმელის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

მუშათა სოციალ-დემოკრატიული შეგნების განმტკიცებისა და პოლიტიკური ბრძოლის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამაისო დღესასწაულებს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „პირველი მაისის დღესასწაულებმა რუსეთში გაჰკაფეს გზა პოლიტიკური ბრძოლისაკენ და პოლიტიკური დემონსტრაციებისაკენ“. ისე, როგორც რუსეთში, საქართველოშიც სამაისო დღესასწაულები ერთობით ძვირფასი წინადადება, რომელნიც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „პირველი მაისის დღესასწაულებმა რუსეთში გაჰკაფეს გზა პოლიტიკური ბრძოლისაკენ და პოლიტიკური დემონსტრაციებისაკენ“. ისე, როგორც რუსეთში, საქართველოშიც სამაისო დღესასწაულები ერთობით ძვირფასი წინადადება, რომელნიც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „პირველი მაისის დღესასწაულებმა რუსეთში გაჰკაფეს გზა პოლიტიკური ბრძოლისაკენ და პოლიტიკური დემონსტრაციებისაკენ“.

პირველად მაისობა თბილისში მოეწყო 1899 წლის 19 აპრილს, ქალაქგარეთ, ლოტკის მთის მიდამოებში, ღრმა ღელესთან. დღესასწაულზე შეიკრიბა 70 კაცი. შეკრებილი უმეტესად შედგებოდენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშები. თბილისელმა მუშებმა ამ დღეს პირველად აღმართეს წითელი დროშა. გაზეთი „ბრძოლა“ ამ დღესასწაულს მასობრივი აგიტაციის დასაწყისად სთვლიდა. რევოლუციონერები და ორგანიზაციული მუშაობა ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა და მუშათა ფართო მასები მოიცვა. 1899 წლისა და 1900 წლის გაფიცვებმა გაზარდეს და გააძლიერეს რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. 1900 წლის დასაწყისში მოეწყო თბილისის ტრამვაის მუშათა დიდი გაფიცვა, რომლის უშუალო ხელმძღვანელი იყო დიდი სტალინის თანამებრძოლი ლადო კეცხოველი.

ამხანაგი სტალინი ლ. კეცხოველთან და აღ. წულუკიძესთან ერთად თბილისის პროლეტარიატის მთელ ბრძოლის წარმართვაზე არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საშუალებით. ამ ორგანიზაციაში შეიძინეზენ მოწინავე მუშები—ვარსტურა, ზაჭარია ჩოფორშვილი, მიხა ბოჭორიძე, გიორგი თელია და სხვები.

1900 წლის გაზაფხული თბილისის პროლეტარიატის ცხოვრებაში აღინიშნა უფრო დიდი მაისობით. „ამ მაისობისათვის მზადება თბილისის მუშებმა ადრე დაიწყეს, — სწერს ძველი მუშა ნ. მაჭარაძე,—მთელ მუშაობას სტალინი ხელმძღვანელობდა. მე როგორც თვითნასწავლ მხატვარს დროშის დამზადება მომანდვეს. ამ ხანებში ერთ ბინაზე ეცხოვრობოდით ელისაბედის ქუჩაზე მე და მუშები, ვ. სტურუა, გ. ნინუა, ლ. მამალაძე და გ. როგელიძე“. ამხანაგი სტალინი თვალისწინებდა თვითეულ დეტალს სამაისო დღესასწაულის ჩასატარებლად. დღესასწაულში მონაწილეობა უნდა მიეღოთ თბილისის ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშებს, რამდენადაც ეს შესაძლებელი გახდებოდა, ამასთან ეს დიდი მოძრაობა ქალაქგარეთ გასასვლელად არ უნდა შეემჩნია ქანდარმერიას. მეფის ოხრანკა დღიდანვე ზვერავდა ქალაქის საწარმოებსა და მუშების ტანსაცმელით გადაცმულ ჯაშუშებს უსვენდა ფაბრიკა-ქარხნებს. ყველაფერი ეს თბილისის ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული. სასტიკი კონსპირაციის დაცვით ეწეოდა ამხანაგი სტალინი არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას. კონსპირაციით განსაკუთრებით საჭირო იყო მუშათა ამ მასობრივი შეკრებისათვის. დანიშნულ დროს საღღესასწაულო შეკრებაზე ქალაქიდან მუშები უნდა გადამეტებით გამოიმუშაოს ერთ მილიონ ფუთზე მეტი შაქარი.

შაქრის ქარხნების მეშაკები პირობას აძლევენ ამხანაგ სტალინს, რომ მილიონად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

„ჩვენ მოვუწოდებთ შაქრის ქარხნების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს,—სწერენ ისინი თავის წერილში ამხანაგ სტალინისადმი, — ჩაებან სოციალისტურ სოციალისტურ შეჯიბრებაში რემონტის საუკეთესოდ ჩატარებისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა ყოველმხრივი ზრდისათვის, შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად და მოწყობილობის გამოყენების პროგრესული ნორმების დასანერგავად მოწინავე ნოვატორებისათვის მიბაძვის გზით. ჩვენ მოვუწოდებთ შაქრის მრეწველობის ყველა მუშაკს—მიაღწიონ შაქრის გამოსალაღობის გადიდებას ქარხნების გადაშენებისას, ვიდრე მილიონად და გადაჭარბებით შეასრულონ წლური გეგმა“. (საღღესი).

სესხთა ორი ვირაჟი ულიანოვსკში

ულიანოვსკი, 28 აპრილი. (საღღესი). 15-16 მაისს აქ შესდგება სახელმწიფო სესხების — მესამე ხუთწლედის (მესამე წლის გამოშვება) და მესამე ხუთწლეულის (მეოთხე წლის გამოშვება) მოგებათა ორი ტირაჟი.

ქრონიკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა დასვენების დღე 1947 წლის 4 მაისიდან — კვირიდან გადმოტანილი იქნას 1947 წლის 3 მაისს — შაბათს.

მივცეთ ჩვენს ქვეყანას სამჯერ მეტი შაქარი. ვიღრე შარშან

შაქრის ქარხნების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა ვალდებულებანი

წერილში ამხანაგ სტალინისადმი შაქრის ქარხნების მუშაები ვალდებულებას კისრულობენ მიაღწიონ შაქრის მრეწველობის მნიშვნელოვან აღმავლობას და **მიმდინარე წლის ქარხნის მოსავლიდან ჩვენს ქვეყანას მისცენ სამჯერ მეტი შაქარი, ვიდრე 1946 წლის მოსავლიდან.**

შაქრის ქარხნების კოლექტივები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამოცანად დაისახეს ვადამდე შეასრულონ წლური გეგმა და ჩვენს ქვეყანას წლიური გეგმა გადამეტებით მისცენ რამდენიმე მილიონი ფუთი შაქარი. ცალკეული ქარხნები — პოლტავის ოლქის ვესელო-პოდოლიანსკისა, ქერსის ოლქის კალინინის სახელობისა, უზბეკეთის სსრ კოკანდისა, ვორონეჟის ოლქის ელან-კოლენოგსკისა, ყაზახეთის სსრ ჯამბულისა — პირობას იძლევიან გეგმის გადამეტებით მოგვცენ 150 ათასიდან 280 ათას ფუთამდე შაქარი, ხოლო ყველამ ერთად ვალდებულება იკისრა გეგმის

საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ნახატი მხატვრის ა. გიგოლაშვილისა.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, საბჭოთა სამშობლოს ახალ-ახალი წარმატებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ!

პირველი მაისობა

მაისის დილა, ქუჩები სავსე,
თბილისის ცაზე შავი ღრუბლები,
პირველი დროშა თბილისის თავზე,
პირველი დროშა თავისუფლების.

დროშა შემკრები იმ შავბნელ დროსაც
უკეთეს ფიქრთა და მაღალ აზრთა...
ბელადი უძღვა იმ პირველ დროშას,
შთაგონებული და ახალგაზრდა.

რა ხითხით ჰკონდა, რა ძალა მის ხმას,
როგორ სწვდებოდა ხალხის ოცნებას,
იგი შორს სჭვრეტდა, მაისის მღელა,
ოქტომბრის მზიურ გასხივოსნებას.

რა მზე აენთო, ხალხში რამხელა
შეჭი ჩამთდება, როგორც ცისკარი!
იყო თბილისის თვალის გახელა
და მაისობა დაუვიწყარი!

იყო გამხელა იმ შავბნელ დროებამს,
უკეთეს ფიქრთა და მაღალ აზრთა,
სტალინი უძღვა მაისის დროშას
შთაგონებული და ახალგაზრდა.

ბრიგოლ აბაშიძე

ორი წლის წინათ

ორი წლის წინათ, 1945 წლის 2 მაისს, ბელორუსიის ფრონტის ჯარებმა, უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების დახმარებით, ქ. ბერლინში შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაამთავრეს გერმანელთა ჯარების ბერლინის ჯგუფის განადგურება და მთლიანად დაიკვეთეს გერმანის დედაქალაქი ბერლინი — გერმანული იმპერიალიზმის ცენტრი და გერმანული აგრესიის კერა.

ორ საუკუნეზე ნაკლები ხნის მანძილზე ეს შესამედ შევიდნენ ჩვენი ჯარები ბერლინის ქუჩებში. 1760 წელს რუსეთის ჯარებმა დაამარცხეს ფრიდრიხ II-ის „უძლეველი“ ჯარები და აიღეს ბერლინი. 53 წლის შემდეგ, 1813 წელს, რუსეთის ჯარებმა, რომლებმაც დაამარცხეს ნაპოლეონი, დაალახეს ნემანი, ვისლა, ოდერი, დაამარცხეს პრუსიელები, ნაპოლეონის მამინდელი მოკავშირენი, და აიღეს ბერლინი. და აი ორი წლის წინათ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა არმიის უმაგალითო განადგურების შედეგად, საბჭოთა ქვეყნის არმიამ კვლავ დაიკავა ბერლინი — ჰიტლერული იმპერიის დედაქალაქი.

რაიხსტაგის გუმბათზე ამაყად აფრიალდა წითელი დროშა — გამარჯვების დროშა.

ეს დროშა საბჭოთა მეომრებს მოჰქონდათ სტალინგრადიდან, კიევისის მისადგომებიდან, შავი ზღვის ნაპირებიდან.

ეს დროშა საბჭოთა მეომრებმა დამოატარეს საშობლოს თავისუფლებისათვის უსასტიკეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. ძნელი იყო ეს გზა. ბევრი გმირული დაღეა ბერლინის ბრძოლაში. მაგრამ საბჭოთა მეომრებს ვერ შეაშინებდა სიძნელე. დიდი სტალინის სახელით ისინი მიდიოდნენ წინ და იმარჯვებდნენ.

და აი ჩვენმა მეომრებმა ეს დროშა აფრიალეს რაიხსტაგის თავზე. და განა მარტო ბერლინში. ასეთივე დროშები ფრიალებდა ქენიგსბერგში, ბუდაპეშტში, ვენაში, ყველგან, სადაც მივიდნენ საბჭოთა მეომრები.

ბერლინის იერიში ოთხი წლის დიდი სამამულო ომის დამამთავრებელი ბრძოლა იყო. ამრიგის უკანასკნელ რიცხვებში საბჭოთა ჯარებმა მტკიცე რკალი შეჰკრეს გერმანიის დედაქალაქის გარშემო. 22.000 საბჭოთა ქვეყნის ლტოლვილი იყო ბერლინის ცენტრისაკენ, სადაც ჰიტლერულთა მთავარი ძალები იმყოფებოდა. ფაშისტი მხეცი მთინც განაგრძობდა გაფთრებულ წინააღმდეგობას. მაშინ იგრილა ჩვენმა ზალვებმა, იგრილა ისე, რომ მიწა შეაზანზარა. ჰაერიდან არტილერისტებს ეხმარებოდნენ სტალინური შვეთრნები. 50 კილომეტრის მანძილზე ისმოდა ავტომქანათა ხმა, 70-80 კილომეტრის მანძილზე მოსჩანდა ბერლინის თავზე ამდგარი კვამლის სვეტი.

და ბერლინი დაეცა. საბჭოთა არმიამ ამით უკანასკნელი ღახვარი ჩასცა ჰიტლერულ გერმანიას. ბერლინის დაცემა მოასწავებდა ომის დამთავრებას, ოთხი წლის ნანატრი შვიდობის დამყარებას. ეს იყო საბჭოთა არმიის გამარჯვება, ეს იყო სტალინური გენიალური სტრატეგიის ბრწყინვალე გამარჯვება, ეს იყო საბჭოთა ხალხის უდიდესი ზეიმი.

ბერლინის ალებისათვის ისტორიულ ბრძოლაში მონაწილეობდენ საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის შვილები. ყველ მათგანს, ოფიცერი იყო ის თუ ჯარისკაცი, შეუძლია იამაყოს, რომ მონაწილეა დიდი საშამულო ომის გამოწყვეტი ბრძოლისა.

ამ საბრალოან შეომართა შორის ისტორიის მატიანეში მოხვედრილა არა ერთი და ორი ქართველის სახელი. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რაიხსტაგის გუმბათზე გამარჯვების დროშა ასწიეს მელიტონ კანთარიამ და ქრისმა მელიტონ კანთარიამ და ქრისმა. მაზედ უკვალოდ ააფრიალეს. დიდი სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი, კვლავ ჩაებნენ სტალინური ხელმძღვანელობით ბერლინის გვარიების გენერალ-მაიორ ერმანოზ კობერიძის, გერმანე კილასონიას, კარლო მებალიშვილის, თოარ ჩიჩუაშვილის სახელები. ბერლინისათვის იბრძოდნენ გენერალ-მაიორ ნ. კალაძის და პოლკოვნიკ ი. ბახაკაშვილის მეომრები. მათ ჩვენი ხალხის ღირსეული მადლობა და სიყვარული დაიმსახურეს.

გაზა უდიდესი ჯილდო არ იყო გვარიდის მაინორ ადამ იოანეს-ძე დიასამძიმებისათვის ომის დამთავრება ბერლინში? ოთხი წლის განმავლობაში იგი იბრძოდა კალინინის ფრონტზე, სტალინგრადში, ნოვგოროდში, ბელორუსიის განთავისუფლებისათვის, პოლონეთის ტერიტორიაზე და ბოლოს ჰიტლერული გერმანიის მიწა-წყალზე. ბერლინის ალებაში მონაწილეობისათვის მას მიღებული აქვს დიდი სტალინის მადლობა.

მაინორმა სამეულ დარისპანის-ძე ანჯაფარიძემ ბერლინის ქუჩებში შერი ოდნა თავისი შვილისათვის — ჯაბუკი გიგისათვის, რომელიც ფაშისტების პოვკულის კაკუასიის მისადგომებზე. კაკუასიის მთის კალთებიდან ბერლინამდე ბრძოლებით გაიარა შურისძიების გრძნობით აღსავსემა მამამ და თავის თვალით დაინახა ფაშისტი მხეცის ბუნაგის დანგრევა.

ბერლინისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს დიდების სამიე ხარისხის ორდენს კავალერმა მზეევრაგმა კონსტანტინე დათუნაშვილმა, ეძემმა ალექსანდრა ევგენის ასულმა მასხულიამ, რომელმაც სახელოვანი გზა გაიცვლა რეკვიდან ბერლინამდე, გვგორიის სამედიცინო სამსახურის კაპიტანმა შალვა კაკაშვილმა, ყოფილმა მასწავლებელმა, სერჟანტმა ალექსანდრე ნინუაშ, კაპიტანმა რევაზ ლეტიძემ, კაპიტანმა ლეონტი ტოლოს-ძე ზუბაიამ, რომელიც აქ მოვიდა სტალინგრადიდან. ბერლინში ბრძოლებით შევიდნენ ლენინის ქალაქის ყოფილი დამცველები არტემ სიმონის-ძე მამაცაშვილი და გვდევან ასოლნის-ძე ცინცაძე, სერჟანტი შალვა კუპატაძე და მრავალი სხვა.

ბერლინის მისადგომებზე მძაფრი ბრძოლის დროს მეტყვიამფრქვევე წითელარმიელმა გიორგი ივანის-ძე წოწელაძემ (ამჟამად რაიონის სოფელ წიფორიდან), როცა მისი ოცეული სიფრთხეში ჩავარდა, თავისი ტყვიამფრქვევით უკუაქცია მოძალებული მტერი. ორი საათის განმავლობაში მან 12 დისკო ვაზნა დასცალა და ვინ იცის რამდენი ფაშისტი განადგურა. როცა ჩვენი მეომრები იერიშზე გადავიდნენ, წოწელაური თავისი ტყვიამფრქვევით იფარავდა ამხანაგებს. გაიფრთხილეთ მტერი კონტრიერიშზე გადმოგიდა. წოწელაური კვლავ ერთბაშად მოსცელა ფაშისტების ერთი ოცეული. როცა ბრძოლა შეწყდა, გმირი მტყვიამფრქვევით გოგია წოწელური კვდარი ნახეს თავის ტყვიამფრქვევთან, ხოლო მის გარშემო დახოცილი ფაშისტების გროვა იდგა. მაშაკი ქართველმა გერმანიის მიწა-წყალზე დაეშტატყვა თავისი უანგარო სიყვარული საბჭოთა სამშობლოს.

ბერლინის აღების დღეს, 2 მაისს, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მძაფრ, უკანასკნელ ბრძოლებში გმირის სიკვდილით დაეცა მაშაკი საბჭოთა ოფიცერი გვარიდის მაორი ვიქტორ ივანეს-ძე სადრაძე.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში! მათ სახელებს არასოდეს დავიწყებს მადლიერი სამშობლო.

უკვე ორი წელია, რაც ომგადახდილი საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შრომას დაებრუნდა. ჩვენი ქვეყანა იშუშებს ომით მოყენებულ ჭრილობებს, კვლავ აშენებს ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას. ბერლინისათვის ბრძოლების სახელოვან მონაწილეთა უმრავლესობა დაბრუნდა სამშობლოში. ახლა ისინი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი, კვლავ ჩაებნენ სტალინური ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყნის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ნინო მშველიძე

თბილისი. სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩაზე.
ფოტოტრანსი რ. აკოფოვისა

საპირველმაისო ზეიმის აღსანიშნავად

დაზგათმშენებელნი მოწინავეთა რიგებში

კირიველი დაზგათმშენებელები ახალი საწარმოო მიღწევებით ხვდებიან 1 მაისს. 29 აპრილისათვის მათ 111 პროცენტით გაანაღდეს თვიური დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ორი სახარატო დაზგა „ტიპ-300“. აპრილში კიროველებმა აითვისეს და გამოუშვეს გეოლოგიურ-საძიებო სადგომთა მანქანები.

მშრომელთა დღესასწაულის—1 მაისის ღირსეული შეხვედრისათვის სტახანოვურ ვახტებ იდგა ქარხნის ასამდე სტახანოველი, რომლებმაც დიდი ხანია გაანაღდეს თვიური დავალებები და ახლა მაისის გეგმების შესრულებაზე მუშაობენ.

ქარხნის წარჩინებულმა სტახანოველებმა ორდენოსანმა ზ. ბენდიანიშვილმა და აბუროშმა ვ. სვანმა აპრილის გეგმები 500 პროცენტით ვანაღდეს, ხარატმა ტ. ვდოვინამ—400 პროცენტით, მრავალმა პ. სოლონინცინამ—300 პროცენტით, მღვარეულმა ე. ჩიჩარაძემ და ხარატმა ნ. მედვედევმა—200 პროცენტით და ა. შ.

აპრილში განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობდნენ ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშა-გამომგონებლები. ინჟინერმა ა. ბერიშვილმა დაზგა „ტიპ-300“-ზე ბრინჯაოს მილაკების რეზინის მილაკებით შესაცვლა. ამ ღონისძიებით ქარხანა წელიწადში 30-მდე ტონა ფერად ლითონს დაზოგავს, რაც 340 ათასი მანეთის წლიურ ეკონომიას მოგვცემს. ქარხანაში განსაკოთრებულ ავტორეტ მთელი რიგი სხვა რაციონალიზატორული ღონისძიებანი.

ე. მღებრიშვილი

აბრეშუმმქსოველები მაღალნაყოფიერად მუშაობენ

თბილისელმა აბრეშუმმქსოველებმა აპრილის საწარმოო დავალება ვადაზე ადრე გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს 4 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოველი—კრეპდეშინი, კრეპჟორჟეტი, კრეპპარიზელი და კრეპსატინი.

განსაკუთრებით კარგად მუშაობს საქსოვი საამქრო. ამ საამქროს მოწინავე ქსოველმა ფ. ფანუაშვილმა თვიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.200 მეტრი ქსოველი. ამავე საამქროს მეოთხე კომპლექტის სტახანოველებმა ე. ლორთქიფანიძემ, ნ. ზაალიშვილმა, მ. ტრიადმოვმა და ხ. ოსიაშვილმა თვიური დავალებები 5 დღით ადრე გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით 1.300 მეტრი ქსოველი მოგვცეს. აპრილში საამქროს (უფროსი ი. ალექსიშვილი) აითვისა და მასისადან სერიოველად გამოუშვებს ძვირფას ქსოველს — კრეპსატინს, აგრეთვე ბურდესპადან მოქსოველ აბრეშუმის ტილოს.

დაფრნაუროდა მოსამზადებელი საამქრო, რომელმაც თვიური დავალება 4 დღით ადრე, 26 აპრილისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით 1.000 კლოგრამი ხართი გამოუშვა.

მოსამზადებელ საამქროში დაწინაურდა საქსელე განყოფილება, სადაც საჭარხეველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის წინო ბართამეიანი მუშაობს. აპრილში გეგმის გადამეტებით ამ დიდებალი პროდუქცია გამოუშვა. ქარხანაში მქსელეები მ. გოგსაძე, ე. ალექსანდროვა და ე. თუმანოვა 27 აპრილიდან მაისის საწარმოო დავალების შესასრულებლად მუშაობენ.

კ. თოდუაშვილი

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს თბილისის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის კოლექტივმა ნატურალური პროდუქციის გამოშვების მარტის საწარმოო გეგმა 108,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო საერთო პროდუქციისა — 108,5 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ფაბრიკის კოლექტივმა 13,4 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და ნედლეულისა და ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირებით 291,2 ათასი მანეთი დაზოგა.

მარტში ასეთი მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის ფაბრიკის კოლექტივმა მეორე რესპუბლიკური და მესამე საყავშირო ჯილდო მოიპოვა.

ამუშავდა ყუვარჩელის თბოელექტროსადგურის მეორე რიგი

ტყვარჩელელმა ენერგეტიკოსებმა ვადაზე 15 დღით ადრე დაამთავრეს ტყვარჩელის ბერიას სახელობის თბოელექტროსადგურის მეორე რიგის დამონტაჟება. 25 აპრილს მეორე ცდაში მემონტაჟეები დაამთავრეს მესამე ქვაბის მონტაჟი, რითაც უზრუნველყვეს თბოელექტროსადგურის მეორე რიგის სრული დატვირთვით გადაცემა.

ახალციხელ მეშახტეთა წარმატება

ახალციხის მეორე შახტამ ქვანახშირის მოპოვების პირველი კვარტალის გეგმა მხოლოდ 75 პროცენტით შეასრულა. მეშახტეთა კოლექტივმა იცის, რა პირველი კვარტალის ჩამორჩენა ახლი-მაისში გამოასწორებინა. ამ ვალდებულების შესრულებლად ფიდი სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი, კვლავ ჩაებნენ სტალინური ხელმძღვანელობით სოციალისტური შეჯიბრება. აპრილის საწარმოო გეგმა შახტის კოლექტივმა 27 აპრილისათვის 115 პროცენტით გაანაღდა და საგეგმის ნახშირის ნაწილი ქვეყანას გადაეცა.

საგეგმო დავალებანი ადრევე შეასრულეს ბურთლელმა, ტყიბულელმა, ანაკლიელმა, ზესტაფონელმა, ჭიათურელმა და ტყვარჩელელმა მეშახტეებმა.

მაისი ღესაში

წინა რიგებში ხანდაზმული მამაცები და ქალები სხედან, მაგიდასთან პენსიონერების აქტივია. ფრიად მნიშვნელოვანია დღევანდელი შეკრება:

ბელადისათვის გაგზავნილი წერილის საფუძველზე მუშაობის ახალ გეგმას ადგენენ ლესელი კოლმეურნენი.

და ყველანი ლესელი ბრიგადირები, მებრიგადირეები, სახელგანთქმული ჩაის მკრეფველები, აბრეშუმის ოსტატები, მთელი სოფელია აქ.

* * *

გადახნულია ლესის სერები და ჭალიანი, სიმწვანე მოსჩვრებია ჩაის პლანტაციებს, აქაიქ სჩანან ჩაის მკრეფავი ჭრელკაბა ქალები, გაზაფხულის მზის სიმცხუნვარეს ჭილობის ქუდით რომ იჩრდილებენ. ჩხრიალებენ წყაროები, ბიბინებს მოლი და ნაიეს ოდნავ შემოქროლებაზე ირხეინან ტანკენარი ხეები—

და ყლორტყლებენ მერცხლები...

დილა უთენია იღვიძებს ლესელთა საბავშვო ბაღი. სიხარულით ქეჩეფებიან ამ საყვარელ სახლში ბავშვები. მათი მშობლები მზის ამოწვერვამდე მიდიან სახნავ-სათესად, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში საბრძოლოდ, საქონლის მოვლა-პატრონობა, წველისა და მესრების გამოსატანად ტყეში მიაჩრიალებენ ურმებს... მყვარებლი და ღვაზი ბავშვები კი ერთმანეთ იკლებენ საბავშვო ბაღის ეზოს—

და ყლორტყლებენ მერცხლები...

ემზადებიან მაისის შესახვედრად — და ალისფერი დროშებითაც დამშვენებული ლესელთა კლუბი და სკოლა. საბავშვო ბაღის გამგე თამარ ზაქრაძე ალისფერ ბანტებს უმზადებს საჩუქრად ბავშვებს. ახალ სიმღერებს სწავლობს მომღერალთა გუნდი. ეზო-ყარს ასუფთავებენ. აკაციების დამთრობელი სურნელება გამდგარა პაერში. დამსვენებელთა ბალი და თუთა და ამ მოსარეცელ ცაში, ამ ღაღანა ველშინ დერიაში —

ყლორტყლებენ და ყლორტყლებენ მერცხლები...

* * *

ახლა ლესელთა საკოლმეურნეო კლუბში მსჯელობაა. კოლმეურნეობას ერთხმად აქვს გადაწყვეტილი—წელს გაცილებით მეტი სიმინდი მოიყვანოს, შარშანდელზე მეტი მოჩქინოს ჩაის ფოთოლი, ტუნგო, ლიმონი და ფორთოხალი. და აქ კრებაზე აზსუტებენ—რომელი ბრიგადა რამდენ ფუთ სიმინდს მიიღებს ჰექტარზე, რამდენ კილოგრამ ზაალიშვილი, თითო მუშამოყარე ხუზე რამდენ ცალ ლიმონსა და ფორთოხალს მოჰკრეფს.

შარშან სამიმუშაოდ იმუშავეს ლესელმა კოლმეურნეებმა: თითეთულ ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე ათას ორაკი ქილოგრამი მწვანე ფოთოლი მოჰკრიფეს, ათი ათასობით ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი ჩაბარეს საბელაწყობს. ასევე უხვი იყო ტუნგოს მოსავალი. კოლმეურნე ქალებმა აბრეშუმის პარკს სარეკორდო მოსავალი მიიღეს. ახლა კი კოლმეურნეები ითით არ კმაყოფილდებიან, ყოველ ბრიგადას, რგოლსა და სტახანოველ კოლმეურნეს ახალი გეგმა აქვს შედგენილი.

ლესაში სამოდაენეკეს ჰექტარზე გაშენებული ჩაის პლანტაციები. გეგმის მიხედვით ლესელებმა წელს ოთხასიოდათი ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოჰკრიფონ, და ახლა ამ საერთო კრებაზე დაადგინეს—გეგმას ორმოცდახუთი ტონით გადაკვარონ. ამ საქმის მოთავეები ლესაში განთქმული ჩაის პლანტაციების მომვლელი და მკრეფავნი არიან. თვრამეტი წლის ცქრიალა გოგონას ბაბუცია კუნტელოს ერთი ჰექტარი ჩაის სტახანოვური პლანტაცია აქვს და თანაყოფელთა წინაშე პირობა დასდო, რომ ამ ნაკვეთზე წელს ხუთათას კილოგრამ პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლს მოჰკრეფს. მონდობებით მეშობებ უხვი მოსავლის მისაღებად შ. გოგიჩაიშვილის, გ. სარკვეიძისა და ე. გოგუაძის ბრიგადები.

სამიმუშოდ მოვლილია ჩაის პლანტაციები. დროზე დაბარეს და გათოხნეს პლანტაციები, დროზეევ შეიტანეს ნიადაგში სასუქი, გაჩაღებულია ბრძოლა მავნებელთა წინააღმდეგ. წელს ლესელები უკვეველად ჩაბარებენ ჩაის ფაბრიკებს ას ოცდათხუთმეტ ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს.

ორასოდი ჰექტარი საყანე მიწა აქვს ლესის კოლმეურნეობას, მოჰყავს ხეხილი, სოია, ლობიო. შარშანდელ მოსავალს სამმაგად გადააჭარბებს წლევანდელი მოსავალი. ერთფლიანი კულტურების დარგში დიდი გეგმა დაისახა კოლმეურნეობამ: ჰექტარზე საშუალოდ უნდა მიიღოს ას ოცდათორმეტი ფუთი სიმინდი, ოთხმოცდაცამეტი ფუთი სოია და ორმოცდათექვსმეტი ფუთი ლობიო. ბრიგადებმა თავიანთი გეგმა წამოაყენესს: შოთა გოგიჩაიშვილის ბრიგადას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი—ორმოცი ჰექტარი ფართობიდან ექვს ჰექტარზე სამფალდ ოთხას ოცდაათი ცენტნერის საერთო გეგმა. ასევეთ გეგმები აქვთ გ. სარკვეიძის, გ. გოგუაძის და ნ. ზაალიშვილის ბრიგადებს.

ტრაქტორებმა დროზე გადაბნეს საყანე მიწები. ახლა ხარ-გუთნეული და მთესველები გასულან ჭალაში. ათი მაისისათვის მთთავდება თესვა, საგულდაგულოდ გამარგილან და გამაორმაგებენ კოლმეურნეები ყანებს და წელს ეეჭველად მოიწევენ დიდ პირნახულს.

შარშანდელთან შედარებით ერთიორად გაზრდილან ლესელები ციტრუსოვანთა მოსაგლინობას.

ციტრუსოვანთა ახალ სანერგეს ამენებენ ორ ჰექტარზე და ამ ნერგებს მცნობელთა მაღლიანი ხელი გაახარებს.

რგოლის ხელმძღვანელმა არ. ჩხაიძემ ვალდებულებად აიღო—წელს ოთხჯერ გათხნოს ციტრუსოვანთა პლანტაციები და ხუთჯერ შეწამლოს. ასეთი შრომის შედეგად კოლმეურნეობა, ეეჭველია, ლიმონს, ფორთოხალსა და მანდარინს უხვ მოსავალს მიიღებს.

* * *

ლესელი კოლმეურნეები პირნათლად შეასრულებენ ბელადისათვის მიცემულ პირობას. მათ ჩინებულად იციან, რომ დიდი ბედნიერი ყოველდღიურად ზრუნავს მათთვის—ეს ახალი, ფართო და ძოკირწყლული ბაბილოს მზრუნველობის შედეგია. მანვე გაამრავლა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, გახსნა სკოლები და საექიმო პუნქტები სოფლად. ეს პირველხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები მისი მზრუნველობით აგებულ ქარხნებთა დამზადებულნი, და ჩვენი სამშობლო, ჩვენი დედოულ-მამული მან იხსნა შავი ჭირისაგან.

დიახ, ბელადისათვის მიცემულ პირობას პირნათლად შეასრულებენ ლესელი კოლმეურნეები!

ლესაში ბევრია შრომისმოყვარე კოლმეურნე. როგორი კოლმეურნის შალვა ბარამძისა ოჯახსაც შარშან ათას ორასი შრომადღე გამოიმუშავა. შალვა ბარამძეს კვლავაც მიჰყვებიან ღიმილით და აღელვებენ გოგონა-შვილები, მარგალიტა კუნტელია და მატროსი შვილიდაშე. ასეთები აქ ბევრია. ამის გამოა ეს საყანე აგებული დროზე გადაბნელი და დათესილი, ეს ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები ასე სანიმუშოდ და საგულდაგულოდ მოვლილი.

შესანიშნავად მუშაობენ ლესელი მეაბრეშმეები ირინე ბარამძიე, თამარ კუნტელია, კასინე ჩხარტიშვილი. მათ ვუდმივად შველის და შრომაში ეთანაზიარება აგრონომ-ენერგოსი მარიამ ნაკაიძე. და ყველა ესენი ან არიან ახლა, თავიანთ კლუბში, და თანასოფლელებს განუცხადეს, რომ წელსაც აბრეშუმის პარკის სარეკორდო მოსავალს მოიწევენ.

ახალგაზრდა, მაგრამ შრომაში გამოცდილი ხელმძღვანელი ჰყავთ ლესელ კოლმეურნეებს. 1933 წელს აგრონომიური ტექნიკუმი დაამთავრა გერმანე ხოფერიამ და ამ ხნიერ მოყვარეთან ერთად ჩაბმული პრაქტიკულ მუშაობაში. მას შეუმცდარად აქვს შესწავლილი თავისი კუთხის ბუნება, მყნობაც შეეძლია და გასხვლაც, იცის ლიმონისა და ჩაის ავ-კარგი. რვა წელიწადს მუშაობდა აგრონომ-ენერგოსად კოლმეურნეობებში და ახლა მთელ ცოდნასა და გამოცდილებას ომისათვის იყენებს, რომ წელიდან-წლამდე სიმინდის, ჩაისა და ციტრუსების მეტი და მეტი მოსავალი მოიყვანოს.

* * *

კრება დამთავრდა. კლუბის განერ უზომოდ გამოვიდნენ კოლმეურნეები. ბურუსი კრანაწყრებმა შემოსახეს ახალგაზრდებმა. ნაწილმა ელექტროშეკით გაჩირაღდნეს სამკოთხელის დარბაზში მოიყარა თავი. თბილისის გზშინდელი გაზეთები უკვე მოეტანია ფოტკლიონს. დარბაზის ერთ კედელთან ჩარჩოში ჩაიმეული გაზეთი „კომუნისტის“ ნომერი, რომელშიც ვაბეჭდილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეშაკთა წერილი ბელადისადმი. ამ წერილში სწერია, რომ წელს ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეები ახელმწიფოს ჩაბარებენ ათასიექვსასაამიც ტონა ჩაის ფოთოლს... ეს პირობა ღრმად აქვთ ჩაწერილი გულში ლესელ კოლმეურნეებს და იციან უკვეველად შეასრულებენ ბელადისათვის მიცემულ სიტყვას.

შებრნდებულია. ახალი მთვარე ანათებს ციდან. შექცდაფრქვეულია სოფელ ლესა. მომხიბლავად მოსჩანან ამ ზთვარიანში ხილნარით დამშვენებული ეზოები და ქრამები გადაბერეული ოდა-ბანები. მაღებენ. ზღვიდან მოსაბერი ნავი ჰქონია. მაისის დილა გათენებია ხვალ. სოფელი ლესა მორთულ-მოკაზმული ხვდება მზრომელთა დღესასწაულს.

ა. თარიშვილი

ლესელი ლესა, ლანჩხუთის რაიონი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. (საკუთრი). გენერალური ასამბლეამ დღეს ხანგრძლივ სხდომაზე გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის ვიცე-პრეზიდენტებად აირჩია საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოს, საფრანგეთის, ჩინეთის, ეკვადორისა და ინდოეთის წარმომადგენელები.

სესიის თავმჯდომარემ ბრაზილიის სატყვაში აღნიშნა, რომ პრეზიდიუმის წესები არ იხსენიებენ ასამბლეის სპეციალურ სესიებს. მაგრამ მან წინააღმდეგი შეიტანა, რომ ასამბლეამ მოქმედად გამოიყენოს ჩვეულებრივი წესები ნაცვლად იმისა, რომ შეეცვალოს განსაკუთრებული წესების შემოქმედის, რომლებიც შეიძლება არასრულყოფილ პრეციდენტად ვთქვეს მომავალი სპეციალური სესიებისათვის. ბრაზილიის წინააღმდეგობა შეიტანა შეიძლება, რომ ასეთმა გვნებულებამ შეიტანა, რომ ასამბლეის პრეზიდენტი, რომელიც ძირითადად ადმინისტრაციული ხასიათის ფუნქციებით არის აღჭურვილი, ასეთ სესიებზე ხელმძღვანელობდეს.

ეკვადორის წარმომადგენელმა ბოლივარმა აღნიშნა, რომ ასამბლეა შეიძლება შეიტანა ცვლილებები გენერალური კომიტეტის რეგლამენტში, რომელიც ასამბლეის სპეციალური სესიებისათვის მოსახმენებლად, რომელიც შეიძლება 29 აპრილს 19 საათზე მოსკოვის დროით.

ეკვადორის დელეგატმა ფლიდ ჯამალიმ, მას შემდეგ, რაც მან შეიტყო, რომ ამ ცნობებში არის სამი სეთნოტური ორგანიზაციის თხოვნა მონაწილეობა მიიღებინონ ასამბლეის მუშაობაში მან ხმა უფლების უქონლად, არანაირ მიმართებით კითხვით, შეეძლოთ თუ არა სხვა ორგანიზაციებს ასეთი თხოვნით მიმართვოთ, არანაირ დადებითად უპასუხა.

ბრაზილიის წარმომადგენელმა ელ-ჰატიბ აღნიშნა, რომ ასამბლეა შეიძლებ მოიღოს გენერალური კომიტეტის სხდომის ერთი საათის შემდეგ, არანაირ წინააღმდეგობა შეიტანა, რათა გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა შესდგეს 30 აპრილს 18 საათზე მოსკოვის დროით, და არა 29 აპრილს, როგორც ეს წინათ იყო განზრახული, რათა გენერალურ კომიტეტს მიეცეს შესაძლებლობა 29 აპრილს მთელ დღეს იმუშაოს სხდომა.

ამით დამთავრდა სხდომა.

გენერალური ასამბლეის შემდეგი პლენარული სხდომა მოხდება 30 აპრილს.

აპაკი მერიათლის ძეგლი თბილისის ოპერის ბაღში. ფოტო რ. აკოფოვისა

სტალინის ახალი მონუმენტი

მოკანდაკე ზ. მაქარაძემ დაამთავრა მუშაობა სტალინის ქანდაკებაზე, რომელიც ჩამოსხმული თბილისის ქანდაკების ქარხანაში მიმილოცა 5 მეტრია, გამოკეთილი იქნება ცალისის ქვისაგან და დაიდგმება ქუთაისის ცენტრალურ წარ მდებარე მოედანზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისათვის.

სამგზავრო ხაზი ოდესა - ნიუ-იორკი

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრო-ში გაზეთ „იზვესტიას" თანამშრომელს აცნობეს, რომ ტანლოტის დეპარტამენტის სესია ახალ საგზაურო ხაზზე—ოდესა-ნიუ-იორკი რომლის სიგრძეა 6,500-ზე მეტი მილი, ამ ხაზზე იცლის საკმაო ტონაჟის ორი ფლოტის ორი დიდი სამგზავრო გემი დიზელ-ელექტრომავალი „როსია". გემთაგზა ოდესიდან ნიუ-იორკამდე ლაინერი შეიცავს ხიდაში (პალუბზე), პალუბში (ბაზბინზეში), ნეკაპოლი (ატალია), მარსელში (საფრანგეთი), ლაინერ „როსიას" უფლება დაენიშნეთ ხაზზე კავშირის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილ მეზღვაურთა, შორის ნაოსნობის კაპიტანი ე. ზ. გოგიტიძე.

5 მაისს „როსია" გავა პირველი რეისით ოდესიდან.

საბავშვო ნარმოდგენები ბავშვებისათვის

3, 11 და 18 მაისს, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შესდგება დილის საბალეტო წარმოდგენები ბავშვებისათვის. დადგმული იქნება ბალეტი „თოვლინას ფერია" და სახალეტო დივერტისმენტი. დასაწყისი დილის 12 საათზე.

თბილისი. ბერიას სახელობის მოედნის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო რ. აკოფოვისა.

ინგლისის პარლამენტის წევრი პოლონეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 29 აპრილი. (საკუთრი). თემთა პალატის წევრი ლეიბორისტი პატრონსონი განაცხადა „დეილი ორკერში" გამოქვეყნის სტატიას, რომელშიც ავტორს მდგომარეობის პოლონეთში, სადაც ის იმყოფებოდა.

პატრონსონი აცნობა პოლონელთა მოწყენილ განწოლილობის შემდეგ და აღნიშნავს: „დღე აზოვდენ ანდერსონი და მის მოძმეები — წერილობით ფაშისტებს: მათ არავითარი შანსი არა აქვთ, რომ ყველაფერი უკან დაბრუნონ, ამერიკელი და ინგლისის რეაქციის სრული დაბრმავებითაც კი".

„ამასთან რესპუბლიკა, — გამოგრძობს პატრონსონი,—ეშაყრება თავის ისტორიულ ტრადიციებს და სრულიად დამოუკიდებელი, მეორეხარისხოვანი ცრურწუნის ქვეშ მყოფი ქვეყნის ფუნქციით ირეკვეთნობა ვერ უნდა მეგობრული ხალხი ვერ დავაყმაყოფილოთ მისი სურვილით".

პატრონსონი ეხება პოლონეთის დასავლეთ საზღვრების საკითხს და წერს: „შეეძლებელია ამ საზღვრების ხელახლა გადასინჯვა, არ შეიძლება მილოონობით ადამიანის დაუსრულებლად გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე. გარდა ამისა, ახალი საზღვრები საშინაოდანაა ეთნიკურად, გეოგრაფიულად და ისტორიულად და ისინი საკონია ამისათვის, რომ პოლონეთ ძლიერი და აყვავებული სახელმწიფო გახდეს, ოპაპიერებრივი საზღვრების მქონე ქვეყანა პოლონეთი მომავალ საყოველთაო შვედობის საფრთხე გაფორმებაა. შვედობის ინტერესებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფოებმა ერის ფაქტი, რომ ახალი საზღვრები გამორყვეული საბოლოოდ და ურიცვედად".

მთავარ როლებს სპექტაკლში ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ფ. ანდღილაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ტ. შარტავა-ფოლავა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ვასაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ჰამაშერიძე.

ახალი წიგნები

„პირველი რუსული რომანი კავკასიაზე"

გაზეთი „ხარიო ვოსტოკას" გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა ვაჟი შიდრის ცრიტიკულად გარედაული „პირველი რუსული რომანი კავკასიაზე".

წიგნში, რომლის რედაქტორია ა. ნიკოლაძე, გარედაულია ვ. ტ. ნარეკის რესული რომანი კავკასიის შესახებ „მთიწილი წელი ანუ მთიელი თავიდები".

წიგნი გამოცემულია ლამაზად, შეიცავს 102 გვერდს და ღირს 3 მანეთი და 50 კაპიკი.

ქართულ - ინგლისური ლექსიკონი

საბჭოთაში გამოსცა თამარ და ისიდორე გვარიკულაძეების მიერ შედგენილი პირველი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, რომელის რედაქტორია ვ. ჭ. მაჭავარიანი. წიგნი განკუთვნილია დაახლოებ საბეჭდმეღვნელოდ სიტყვის 18 ათას სიტყვას და ღირს 20 მანეთი.

* * *

საბჭოთაში პოლიტეკნიკურის სეკტორმა გამოსცა ლექსთ ეგნაოძის წიგნი „პარიზის კომუნის გმობაზიდან საქართველოში". წიგნი, რომელის რედაქტორია ვ. ბურჩულაძე, შეიცავს 52 გვერდს და ღირს 3 მანეთი.

სანადირო ძაღლების გამოფენა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მონადირეთა კლუბი კომენტარების (ყოფილი ლეგენდარების) ბაღში აწყობს ყველა ჯიშის სანადირო ძაღლების სრულიად საქართველოს XVI გამოფენას.

გამოფენა გაიხსნება 9 მაისს დილის 9 საათზე და გასტანს ორ დღეს.

სპორტი

საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში

ბვალ, 2 მაისს, ოწყება მიმდინარე წლის საგაზაფხულო პირველობის გათამაშება ფეხბურთში. პირველობაც მონაწილეობას დღეს ოსტატ ფეხბურთელთა ცამეტი გუნდი, როგორც ჩვენ ვიცით ზონის მეთვრეულებმა აცნაურ, შარშან საქართველოს ჩემპიონობისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს ორმოცდა ორ გუნდში. ჩვენს სპეციალურ დიდგანუნებით ეს საინტერესო წესი დარეგულირდა ორ ნაწილად. ამასთანავე ორმოცდა ორ გუნდში ექვსნი ფინალისტი ანუ ნახევარფინალისტი გამოვლინდა. ეს ექვსნი ორ ჯგუფად დაიყოფა. ერთ ჯგუფში შემოკრებილნი იქნებიან „ლოკომოტივის" თბილისის, „ტორპედოს" ქუთაისის და „ლოკომოტივის" ბათუმის გუნდები, მეორე ჯგუფში კი „დინამო" თბილისის, „ლოკომოტივის" ზესტაფონის და „ლოკომოტივის" ფოთის გუნდები. ამ ექვსნი გუნდიდან ორი გუნდი გამოვლინდება ნახევარფინალისტად, რომელნიც ერთმანეთს შეეჯახებიან ფინალისტის გამოვლენის მიზნით. ფინალისტები კი ერთმანეთს შეეჯახებიან ჩემპიონობის ტიტულის მოსაპოვებლად.

ამ ექვსნი გუნდიდან ორი გუნდი მოსამზადებელი მეტრია და ახლახან ჩატარებული ვადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ძლიერნი არიან. ამ ექვსნი გუნდიდან ორი გუნდი „ლოკომოტივის" ბათუმის და „ლოკომოტივის" ფოთის გუნდები ჯერ არ ყოფილან ჩვენი ზონის ფინალისტები, მაგრამ ისინი ამ ზონის ფინალისტებზე ნაკლებ ძლიერნი არ არიან. ამ ორ გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელნიც